MES 8 17 01474159

04/12/2017

ქალაქ ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს,
ბატონ თორნიკე კახნიაშვილს

ბატონო თორნიკე,

თქვენი წერილის №1347789, 02.11.2017წ. პასუხად, სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის კორესპონდენციასთან №1346300, 02.11.2017წ. დაკავშირებით, რომელიც ეხება სკოლის ავარიულ მდგომარეობას, გაცნობებთ, რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა აღნიშნული საკითხი.

შედგა სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი 32.09.43.013) შენობის ვიზუალური დათვალიერება. შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი: 1968 წელს აშენებული (გეგმაში 30.0x18.0მ ზომის) სკოლის ორსართულიანი (01) შენობის კედლები წვრილი ბლოკითაა ნაგები. გადახურვები განხორციელებულია რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. ხის ორქანობიანი სახურავი დაფარულია აზბესტცემენტის შიფერით. სკოლის შენობის კედლები დეფორმირებული და დაბზარულია. დიდი გახსნილობის ბზარებია გაჩენილი ტორსულ და შუა გრძივ კედლებში. შენობის ღრუტანიან ფილებში შეიმჩნევა როგორც კედლებიდან, ისე ურთიერთშორის წანაცვლება. გადახურვების თავდაპირველი სიბრტყე დეპლანირებულია. აღნიშნული დაზიანებები მიუთითებს შენობის თავდაპირველი გეომეტრიული ფორმის მნიშვნელოვან ცვლილებაზე. შენობის სივრცითი დეფორმაცია გამოწვეულია საძორკვლების ჯდენითი დეფორმაციით, ხოლო თავის მხრივ საძირკვლების ჯდენის მიზეზი ფუძე-გრუნტის დაბალი მზიდუნარიანობაა.

შესაბამისად, სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის აღდგენა-რეაბილიტაცია, მნიშვნელოვანი მოცულობითი დეფორმაციისა და ტერიტორიის გრუნტის არახელსაყრელი პირობების გამო, არარენტაბელურია.

პატივისცემით,